№2182 2013 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შპს „ჯეოსელისაგან“ შეძენილ სატელეფონო სასაუბრო ბარათებთან დაკავშირებით განსახორციელებელ რიგ ღონისძიებათა შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია შპს „ჯეოსელისათვის“ სატელეფონო სასაუბრო ბარათების (ასტრა, ლაი-ლაი) დაბრუნებისა და სანაცვლოდ ამ სასაუბრო ბარათების ღირებულების შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვის თაობაზე.

2. მოწონებულ იქნეს ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციაში ასახულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შპს „ჯეოსელს“ შორის გასაფორმებელი თანდართული შეთანხმების პროექტი.

3. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ განკარგულების შესრულების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველოს მთავრობის
2013 წლის 26 დეკემბრის
№2182 განკარგულების
დანართი

შეთანხმება

შპს „ჯეოსელისათვის“ სატელეფონო სასაუბრო ბარათების (ასტრა, ლაი-ლაი) დაბრუნებისა და სანაცვლოდ ამ სასაუბრო ბარათების ღირებულების შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვის თაობაზე

ქ._____ „_____“ _____ _____წ.
შეთანხმების დადების ადგილი შეთანხმების დადების თარიღი

საქართველოს მთავრობის 2013 წლის ---- დეკემბრის №---- განკარგულების შესაბამისად, ერთი მხრივ, **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო)** წარმოდგენილი ---------- სახით და მეორე მხრივ, შპს „ჯეოსელი“, წარმოდგენილი ---------- სახით, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1.1. წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე სამინისტრო გადასცემს შპს „ჯეოსელს“ სამინისტროს ბალანსზე რიცხულ სატელეფონო სასაუბრო ბარათებს, კერძოდ: 6494 ცალი ლაი-ლაი ბარათი (ნომინალი 10 ლარი) ღირებულებით – 61693 ლარი, 14139 ცალი ასტრა ბარათი (ნომინალი 25 ლარი) ღირებულებით – 335801,25 ლარი, 2662 ცალი ლაი-ლაი ბარათი (ნომინალი 5 ლარი) ღირებულებით – 12644,50 ლარი, 6306 ცალი ასტრა ბარათი (ნომინალი 15 ლარი) ღირებულებით – 89860,5 ლარი, საერთო

ღირებულებით – 499999,25, ხოლო შპს ,,ჯეოსელი“ აღნიშნული ბარათების ღირებულების თანხას (499 999,25 ლარი) მიმართავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

2. შეთანხმების ფასი

2.1. შეთანხმების ფასი, ბარათების ღირებულება შეადგენს 499 999,25 ლარს.

2.2. შპს ,,ჯეოსელის“ მიერ შეთანხმების ფასის გადახდა ხდება სრულად, შემდეგ სახაზინო ანგარიშზე: ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი: 302003460; ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022; ბანკის კოდი: TRESGE22.

3. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

3.1. სამინისტრო ვალდებულია გადასცეს შპს ,,ჯეოსელს“ უნაკლო ქონება და გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

3.2. შპს ,,ჯეოსელი“ ვალდებულია მიიღოს სატელეფონო ბარათები და შეთანხმების ფასი სრულად გადაიხადოს შეთანხმების ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

3.3. შპს „ჯეოსელი“ ვალდებულია ოფიციალურად აცნობოს სამინისტროს გადახდის თაობაზე და წარმოადგინოს გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.

3.4. მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.5 შეთანხმებით გათვალისწინებული თანხის დადგენილ ვადაში ბიუჯეტში გადაუხდელობის შემთხვევაში სამინისტრო უფლებამოსილია შპს „ჯეოსელს“ დააკისროს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეთანხმებით გათვალისწინებული ქონების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

4. დავის მოწესრიგება

4.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

4.2. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაწყვეტს სასამართლო.

5. დასკვნითი დებულებანი

5.1. შეთანხმება იდება ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ოთხ იდენტურ ეგზემპლარად და გადაეცემა თითოეულ მხარეს.

5.2. შეთანხმებაში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით.

5.3. ურთიერთობები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე შეთანხმებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. მხარეთა რეკვიზიტები:

6.1. **სამინისტრო:**

- მისამართი: _____
- ტელეფონი:_____
- ელ-ფოსტა: _____
- საკონტაქტო პირი:_____

6.2. **შპს „ჯეოსელი“:**

- მისამართი: _____
- ტელეფონი:_____
- ელ-ფოსტა: _____
- საკონტაქტო პირი:_____

_____ _____

/ხელმოწერა, ბეჭედი/ /ხელმოწერა, ბეჭედი